<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 07.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010020000.05.001.019233) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები:
„რ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის შენობებზე;
ს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირის შენობებზე, რომელიც უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას.“.

2. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:
„4. სავალდებულოა სახელმწიფო გერბის სრული სახით განთავსება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შენობების ფასადებსა და დაწესებულების დასახელების აღმნიშვნელ აბრებზე.“.

3. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:
„11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ მოქმედებს ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შენობების ფასადებსა და დაწესებულების დასახელების აღმნიშვნელ აბრებზე სახელმწიფო გერბის გამოყენების შემთხვევაზე.“.

4. მე-17 მუხლის:
ა) სათაური ჩამოყალიბდეს არსებული რედაქციით:
„მუხლი 17. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი“;
ბ) მე-8 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:
„9. სავალდებულოა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის თვალსაჩინო ადგილას განთავსება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დაწესებულებებში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**